თბილისის “დინამო” პირველ სამეულშია!

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 27 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “კარპატი” (ლვოვი) 1:0 (0:0).

“დინამო”: გოგია, მუჯირი (ძოძუაშვილი), ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, ასათიანი, გ. მაჩაიძე, დარასელია, გუცაევი, წერეთელი.

“კარპატი”: რაკიტსკი, რიფციაკი, პოტოჩნიაკი, ჩორბა, სიროვი, ბროვარსკი, ხიუაკი, სავკა (კრუპეი), დანილიუკი, კიკოტი, დუბროვნი (გირნიკი).

მსაჯი: გ. კარაპეტიანი (ერევანი).

დუბლიორები – 0:1.

იოლ გამარჯვებაზე ლვოვის “კარპატისთან” ფიქრიც ზედმეტი იყო. ეს გუნდი წლევანდელ ჩემპინატში თამაშობს ისე ძლიერად, როგორც არასდროს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უკვე 11 ტურია “კარპატი” დაუმარცხებლად გამოდის შინ თუ გარეთ და 11 მაისის მერე არ იცის, რა არის წაგება. ამას გარდა, იგი ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით თბილისელებს ერთი საფეხურით უსწრებდა გათამაშების ცხრილში და ყველაფერი ეს განსაზღვრავდა ბრძოლის ინტერესსაც და სიმწვავესაც.

უკვე მატჩის დასაწყისმა ცხადყო, რომ სტუმრები არ აპირებდნენ მეტოქისთვის რაიმე დაეთმოთ. მათ თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს დინამოელებს, საფუძვლიანად გაამაგრეს ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზები, კონტრშეტევისას კი რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მოპირდაპირე კართან, როცა ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანეს ხიუაკი, დანილიუკი, კიკოტი. 42–ე წუთზე მაგალითად, დანილიუკი გავიდა ორ მცველს შორის, გადაუგდო მეკარეს ბურთი თავს ზემოთ და ეს დარტყმა ზუსტი რომ გამომდგარიყო, კარს ვერაფერი იხსნიდა.

მიუხედავად ამისა, თბილისელთა ტერიტორიული უპირატესობა ცხადი იყო. დაცვაში კვლავ საუკეთესოდ ითამაშა ხიზანიშვილმა, ნახევარდაცვა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქორიძე, ბევრს მუშაობდა, ხშირად მონაწილეობდა იერიშებში, აქტიურად უმაგრებდა ზურგს თავდამსხმელებს, ხშირად ურტყამდა შორიდან კარში. წინა ხაზზე ლვოველებს დიდი შრომა დასჭირდათ გუცაევისა და წერეთლის ნეიტრალიზებისთვის.

და მაინც, პირველ ტაიმში დინამოელებმა ვერ შეძლეს სტუმრების გაძლიერებული დაცვის დაძლევა და ტერიტორიული უპირატესობის გოლით დაგვირგვინება.

შესვენების შემდეგ ჩვენმა გუნდმა ტაქტიკურად გაცილებით გამართულად, მოფიქრებულად და ნაყოფიერად ითამაშა. შუა ხაზიდან რამდენიმეჯერ გადაინაცვლა წინ დარასელიამ, რომელშიც გაიღვიძა ფორვარდის ინსტიქტებმა და მაშინ ლვოველთა კართან გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა იქმნებოდა ხოლმე. ერთ–ერთ მომენტში მის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ზედა ძელს, შემდეგ – კარის ხაზს და მინდორს დაუბრუნდა.

გოლი, რომელმაც თბილისელებს გამარჯვება მოუტანა, 53–ე წუთზე გავიდა. ეს ასე მოხდა: მორიგი შეტევის დროს გუცაევმა სწრაფი მანევრი შეასრულა, გაითავისუფლა თავი სიროვის მეურვეობისგან, ასათიანმა მას მაშინვე გადასცა ბურთი და უძლიერესმა, ზუსტმა დარტყმამ ფლანგიდან შეუფერხებლად მიაღწია მიზანს.

სათამაშო დრო საკმარისზე მეტი იყო დარჩენილი. ლვოველებმა ყველაფერი გააკეთეს მატჩის სახსნელად, ორი ცვლილებაც მოახდინეს შემადგენლობაში, მაგრამ უპირატესობა თბილისელებს არც ერთ ეტაპზე არ დაუთმიათ. გამარჯვება, ძალიან საჭირო, მათ შეინარჩუნეს. ამასთან ერთად, გუნდმა შეძლო რევანშის აღება პირველ წრეში დამარცხებისთვის.

ამ მოგების შემდეგ თბილისის "დინამომ" გადაინაცვლა იქ, სადაც იგი კარგა ხანია არ გვინახავს – III ადგილზე.

რ. ქორიძე.
"ლელო", 19 ივლისი, 1975 წ.